იანვარი, 2010 წ.

საქართველო

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური კრიზისის პირისპირ აღმოჩნდა 2009 წლის აპრილის დასაწყისში, როდესაც ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი თბილისის ქუჩებში გამოვიდა. ისინი მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას. საპროტესო აქციები ორი თვე, ოპოზიციის ერთიანობის შესუსტებამდე, გაგრძელდა. აქციების განმავლობაში ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა დააფიქსირეს დაუდგენელი პირების მიერ ოპოზიციის აქტივისტებზე თავდასხმის მთელი რიგი საეჭვო შემთხვევები, პოლიციამ აქციათა მონაწილეების წინააღმდეგ გადამეტებული ძალა გამოიყენა და დააკავა რამდენიმე მათგანი, იგი ასევე თავს დაესხა ჟურნალისტებს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მომხდარი კონფლიქტიდან წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ ხელისუფლებას ჯერაც არ გამოუძიებია საფუძვლიანად ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევები, რომლებიც ქართველმა სამხედროებმა ჩაიდინეს. რუსეთი კვლავ კონტროლს ახორციელებს სამხრეთ ოსეთზე და მეორე სეპარატისტულ რეგიონზე – აფხაზეთზე. იგი აბრკოლებს საერთაშორისო დამკვირვებელთა შესვლასა და მუშაობას ამ რეგიონებში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა, 2008 წლის კონფლიქტის შემსწავლელმა საერთაშორისო კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა დანაშაულთა გამოძიებისა და დამნაშავეთა სამართალში მიცემის სერიოზული ნაკლებობა.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და პოლიციის ძალადობა

ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერს აპრილიდან ივნისის პირველ რიცხვებამდე გადაკეტილი ჰქონდა თბილისის ქუჩები სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შემწყნარებლობას იჩენდა გაჭიანურებული საპროტესტო გამოსვლების მიმართ, პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა

დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ, ათეულობით აქტივისტი დააპატიმრა და ზოგიერთმა მათგანმა მოგვიანებით განცხადება გააკეთა დაკავების დროს ცუდად მოპყრობის შესახებ. გარდა ამისა, აპრილსა და მაისის დასაწყისში გახშირებული თავდასხმების დროს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ამოუცნობი, ხშირად რეზინის ხელჯოხებით შეიარაღებული და ნიღბიანი ადამიანები, სცემდნენ და ემუქრებოდნენ ცალკეულ დემონსტრანტებს, რომლებიც ღამით საპროტესტო აქციას ტოვებდნენ; სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და სახალხო დამცველმა ათეულობით მსგავსი ინციდენტის შესახებ გააკეთეს განცხადება. ხელისუფლებამ ორმოცდაათზე მეტი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი საქმე აღძრა ამ ძალადობის ფაქტებზე, მაგრამ მათ შედეგი არ მოჰყოლია, რაც ხელისუფლების მხრიდან ამ თავდასხმების ჩუმ მხარდაჭერაზე ან დახმარებაზე მიანიშნებს.

6 მაისს სამი ახალგაზრდა აქტივისტი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი, დააპატიმრეს ხულიგნობის ბრალდებით. სამივემ განაცხადა, რომ სანამ ერთი დღის შემდეგ თავდებით გაათავისუფლებდნენ, მათ სცემდნენ და ემუქრებოდნენ. ამ აქტივისტების დაპატიმრების გამო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის ღობეზე გადაძვრა და უკანონოდ შეიჭრა მის ტერიტორიაზე. ამას მოჰყვა დაპირისპირება პოლიციასა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ აქციის ზოგიერთმა მონაწილემ პოლიციის წინააღმდეგ ჯოხები აღმართა, პოლიციამ ვერ მოახერხა, ხალხის დიდი მასის გაკონტროლების ნაკლებად ძალადობრივი ხერხები ბოლომდე ამოეწურა და ახლო მანძილიდან გაუფრთხილებლად დაუშინა ხალხს რეზინის ტყვიები, რის შედეგადაც ზოგიერთმა დემონსტრანტმა თავის არეში სერიოზული დაზიანება მიიღო.

15 ივნისს პოლიცია თავს დაესხა ოპოზიციის დაახლოებით 50 მხარდამჭერს, რომლებიც კვლავ შეიკრიბნენ პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან და წინა დღეს ახალგაზრდა აქტივისტების დაპატიმრებას აპროტესტებდნენ. პოლიციელები გაუფრთხილებლად დაედევნენ და რეზინის ხელჯოხებით სცემეს დემონსტრანტები, რის შედეგადაც სულ მცირე 17 დემონსტრანტი დაშავდა. პოლიციის განცხადებით, ოპოზიციის მხარდამჭერებმა მთავარი შესასვლელი და გზა გადაკეტეს, რაც გახდა მათი ქმედების მიზეზი. 38 დემონსტრანტი დააკავეს, 33 გამოუშვეს ჯარიმის დაკისრების შემდეგ, ხოლო ხუთ მათგანს 30 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა. ბევრმა განთავისუფლებულმა ადამიანმა განაცხადა პოლიციაში პატიმრობისას სასტიკად მოპყრობის შესახებ. პოლიციელები რამდენიმე ჟურნალისტსაც

გაუსწორდნენ ფიზიკურად და კამერები წაართვეს; მოგვიანებით მათ დააბრუნეს აპარატურა, მაგრამ ზოგიერთი ჟურნალისტის განცხადებით, ვიდეო და ფოტომასალა წაშლილი იყო.

15 ივნისის ინციდენტის დროს მედიის მუშაობისათვის ხელის შეშლის გამო პოლიციამ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიება არ ჩატარებულა. რამდენიმე ოფიცერმა (რომელთა ვინაობა არ გამჟღავნებულა) საყვედური მიიღო მხოლოდ და მხოლოდ შიდა გამოძიების საფუძველზე. არსებითი და დამაჯერებელი გამოძიება პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა.

აშკარად საპროტესტო აქციების საპასუხოდ პარლამენტმა ივლისში მიიღო ადმინისტრაციული კოდექსის მთელი რიგი უარყოფითი შესწორება, რომელთა თანახმადაც ადმინისტრაციული პატიმრობა, მათ შორის წვრილმანი ხულიგნობისთვის, 30-დან 90 დღემდე გაიზარდა. ეს ზომა გადაჭარბებული ჩანს იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის ბრალდებისათვის წინასწარი პატიმრობის ვადა მხოლოდ 60 დღეა. შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ კანონში ივლისში შეტანილი შესწორებების თანახმად აიკრძალა გზების სრული ან ნაწილობრივი გადაკეტვა მანიფესტაციის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული აქცია სხვაგან ვერ ჩატარდება მონაწილეთა მრავალრიცხოვნების გამო.

მიუხედავად წამყვანი საერთაშორისო ძალების მოწოდებებისა, ხელისუფლებამ უარი თქვა, დაეწყო 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების არსებითი გამოძიება, როდესაც პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა ძირითადად მშვიდობიანი პოლიტიკური დემონსტრაციის წინააღმდეგ თბილისში, რასაც სულ მცირე 500 ადამიანის დაშავება მოჰყვა შედეგად.

ომის დროს ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისგების ნაკლებობა

უკვე წელიწადზე მეტი ხანი გავიდა საქართველოსა და რუსეთს შორის სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ჯერაც არ გამოუძიებია საფუძვლიანად ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევები მისი სამხედრო ძალების მხრიდან და არც სამართალში მიუცია ვინმე ამ დარღვევებისთვის (იხ., აგრეთვე, თავი რუსეთის შესახებ).

ომის განმავლობაში ქართველი სამხედროები არადამიზნებად იარაღს იყენებდნენ, მათ შორის მრავალჯერადი რაკეტების გამშვებ დანადგარებს – ეს არის არადამიზნებადი იარაღი (ე.წ. "გრადები"), რომლის გამოყენება დაუშვებელია დასახლებულ ადგილებში. მათ აგრეთვე გამოიყენეს ტანკები და ტყვიამფრქვევები სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე იერიშისას, მათ შორის იმ შენობებზე, რომლებსაც თავს სამოქალაქო მოსახლეობაც აფარებდა. ზოგიერთი ამ შენობიდან ოსურმა შეიარაღებულმა ძალებმაც გაუხსნეს ცეცხლი ქართველ სამხედროებს. სამხედროები ასევე იყენებდნენ კასეტურ შეიარაღებას რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მომიჯნავე, მშვიდობიანი მოქალაქეებით დასახლებულ ქართულ ტერიტორიებზე.

დაახლოებით 20 000 ეთნიკური ქართველი დღესაც დევნილია სამხრეთ ოსეთიდან.

მართლმსაჯულების სისტემა

გადატვირთული ციხეები და ამით გამოწვეული ცუდი პირობები კვლავაც პრობლემად რჩება მიუხედავად ახალი ციხეებისა და პრეზიდენტის რამდენიმე შეწყალების თუ ამნისტიის აქტისა. თუმცა ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს წინასწარი პატიმრობის ზომის გამოყენების შემცირებას, პატიმართა საერთო რაოდენობამ 2009 წლის ივნისისთვის 19,504-ს მიაღწია, რაც 50%-იან ზრდას შეადგენს 2006 წელთან შედარებით. აღნიშნულ ზრდას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო საპატიმრო სასჯელების შეკრებითობის პრინციპმა. ასევე გრძელდება პატიმრების მიმართ ცუდად მოპყრობის შემთხვევები, მათ შორის თბილისის ახლად აშენებულ ციხეშიც.

ორ განჩინებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის დარღვევა, ვინაიდან ხელისუფლებამ ვერ შეძლო ადეკვატური პირობებისა თუ სათანადო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა პატიმრებისთვის. საქმეში *„ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“* ევროპის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ, სამეურნეო და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, საქართველო ვალდებულია, შეუქმნას ადამიანებს ღირსეული პირობები ციხეებში.

ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო გამოძიების ჩატარება 2006 წლის მარტში თბილისის მე-5 საპყრობილეში აჯანყების ჩასახშობად ჩატარებულ ოპერაციაზე, რომლის შედეგად დაიღუპა შვიდი პატიმარი და დაშავდა ათობით მათგანი.

ხელისუფლება კვლავაც ინარჩუნებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად 12 წელს, როცა 2008 წლის ივნისში გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა მას ამ ასაკის 14 წლამდე გაზრდასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება აგრძელებს მორატორიუმს სისხლის სამართლის ბრალდებებზე 14 წლამდე ასაკის პირების მიმართ, ვიდრე არ შეიქმნება ცალკე მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანებისთვის, რაც 2008 წლის შუა პერიოდისთვის იყო დაგეგმილი და ჯერაც არ დასრულებულა.

მედიის თავისუფლება

მედია-გარემო კვლავაც არაერთგვაროვანია – არსებობს მრავალფეროვანი ბეჭდვითი მედია, ხოლო სახელმწიფოს მასშტაბით ტელემაუწყებლობა შემოიფარგლება სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საზოგადოებრივი მაუწყებლით და ხელისუფლების მხარდამჭერი ტელეარხებით „რუსთავი-2“-ითა და „იმედით“. კვლავ პრობლემად რჩება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მესაკუთრეობის გამჭვირვალობის საკითხი. 2009 წლის 15 ივნისს ოპოზიციის მხარდამჭერმა ორმა სატელევიზიო სადგურმა - „კავკასიამ“ და „მაესტრომ“ – დროებით შეწყვიტა მაუწყებლობა მას შემდეგ, რაც მათ ჟურნალისტებს თავს დაესხნენ და წაართვეს აპარატურა პოლიციასთან შეტაკებისას. 30 მაისს რუსთავის ადგილობრივმა საკაბელო ქსელმა მოხსნა „მაესტრო“ თავისი მაუწყებლობიდან, რაც, სავარაუდოდ, ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლის შედეგი იყო. ოქტომბერში ადგილობრივმა სასამართლომ სატელევიზიო სადგურ „25-ე არხს“ – ერთადერთ დამოუკიდებელ სატელევიზიო სადგურს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 166,000 აშშ დოლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანების დაფარვა დააკისრა. სადგურის მფლობელმა გაასაჩივრა ჯარიმა. მისი აზრით, ამ ყველაფრის მიზანს წარმოადგენდა მომავალი ადგილობრივი არჩევნების წინ სადგურის დახურვის განზრახვა.

ბეჭდვითი მედიის გასაღება უმთავრესად დამოკიდებულია ქუჩის საგაზეთო გაყიდვებსა და რეკლამებზე. სექტემბერში თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩის საგაზეთო გაყიდვები

ამახინჯებს ქალაქს, წარმოშვა მათი შესაძლო გაუქმების ეჭვი, რაც დიდ საფრთხეს შეუქმნის მრავალი ბეჭდვითი მედიის არსებობას.

რამდენიმე ჟურნალისტმა გააკეთა განცხადება შესაძლო ზეწოლასა თუ თავდასხმების შესახებ. ნატო გეგელიას, რაიონული გაზეთი „გურიის“ ჟურნალისტს, შეურაცხყოფა მიაყენეს ჩოხატაურის პოლიციის განყოფილებაში 10 ივნისს, როცა იგი იძიებდა ოპოზიციის აქტივისტის დაპატიმრების საკითხს.

ძირითადი საერთაშორისო აქტორები

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გააღრმავეს საქართველოსთან ურთიერთობები და მისი ფინანსური მხარდაჭერა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ბერკეტები, რათა უზრუნველეყოთ საგრძნობი გაუმჯობესება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ამასობაში რუსეთს კვლავ ოკუპირებული აქვს საქართველოს სეპარატისტული რეგიონები – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. იგი აბრკოლებს საერთაშორისო დამკვირვებელთა შესვლას რეგიონებში. 2008 წლის დეკემბერში რუსეთმა დაბლოკა საქართველოში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის მანდატის გაგრძელების საკითხი, ხოლო 2009 წლის ივნისში ვეტო დაადო აფხაზეთში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მუშაობას.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის მიერ სექტემბერში გამოცემულ 1,129 გვერდიან ანგარიშის მიხედვით, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის ნორმების დარღვევას ადგილი ჰქონდა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის მიერ. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია პასუხისგების სერიოზულ ნაკლებობაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში – რომლის წევრიცაა საქართველო – გრძელდება კონფლიქტის ყველა მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულების ანალიზი.

2009 წლის მაისში საქართველომ ხელი მოაწერა აღმოსავლეთის ახალი პარტნიორობის შესახებ დეკლარაციას ევროკავშირთან. ამ პარტნიორობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი დახმარება და თანამშრომლობა. საქართველო უკვე იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრი. ამ მექანიზმის ფარგლებში, გარდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დამატებით გამოყოფილი 500 მილიონი ევროსი,

2010 წლის ჩათვლით 120 მილიონი ევრო გამოიყოფა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ 2009 წლის აპრილში მომზადებულ ანგარიშში აღინიშნა საქართველოს მიერ გარკვეულ სფეროებში მიღწეული წარმატებები, მაგრამ, ამავე დროს, გამოთქმული იყო შეშფოთება მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით. იმავე თვეში გაიმართა დიალოგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების თემაზე. ევროკავშირმა გააგრძელა საქართველოში ევროკავშირის 200 შეუიარაღებელი დამკვირვებლის მანდატი. რუსეთი კვლავ ბლოკავდა სეპარატისტულ რეგიონებში მათ შესვლას.

აშშ-მ და საქართველომ 2009 წლის იანვარში ხელი მოაწერეს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გაზრდილ თანამშრომლობას, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვის გასაუმჯობესებლად. 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს რეაბილიტაციაში დასახმარებლად შეპირებული 1 მილიარდი აშშ დოლარის ფარგლებში მაისში აშშ-მ გამოყო 53.3 მილიონი აშშ დოლარი, აქედან 20 მილიონი აშშ დოლარი კარგი მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის, ასევე საარჩევნო სისტემისა და მედიის რეფორმირებისათვის. პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირების მიზნით ივლისში საქართველოს ვიზიტით ეწვია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ, რომლებშიც მოუწოდა ყველა მხარეს, ჩაატარონ კონფლიქტის დროს მომხდარი დარღვევების საფუძვლიანი გამოძიება. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა მაისში გამოსცა ანგარიში კონფლიქტის შემდეგ ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ასევე ყურადღებას ამახვილებდა სერიოზული პასუხისგების საჭიროებაზე.